გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 1255 (1999)</u>**

1999 წლის 30 ივლისი

უშიშროების საბჭო,

იმოწმებს თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, 1999 წლის 28 იანვრის 1225 (1999) რეზოლუციას და საკუთარი თავმჯდომარის 1999 წლის 7 მაისის განცხადებას (S/PRST/1999/11); განიხილავს გენერალური მდივნის 1999 წლის 20 ივლისის მოხსენებას (S/1999/805); ცნობად იღებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 ივლისის წერილს გენერალური მდივნის სახელზე (S/1999/809, დანართი); ხაზს უსვამს, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოვლენების პოზიტიური განვითარების მიუხედავად მიუღებელია აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებში პროგრესის არარსებობა;

ღრმადაა შეშფოთებული კონფლიქტის ზონაში არსებული არასტაბილური ვითარებით, ამასთან დაკავშირებით მიესალმება იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც შეაქვთ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს (დსთ-ს სამშვიდობო ძალებს) კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციაში, აღნიშნავს, რომ მათ კარგი, სამუშაო ურთიერთობები ჰქონდათ ყველა დონეზე, ხაზს უსვამს მათ მიერ შესაბამისი მანდატების შესრულებისას მჭიდრო თანამშრომლობისა და მათ შორის კოორდინაციის გაგრძელებისა და გაფართოების მნიშვნელობას; იმოწმებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის (S/1997/57, დანართი) შედეგებს, რომლებიც შეეხება აფხაზეთში, საქართველო, არსებულ ვითარებას; კვლავ ადასტურებს მხარეთა მიერ ადამიანის უფლებათა მკაცრად დაცვის აუცილებლობას და მხარს უჭერს გენერალური მდივნის ძალისხმევას მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიებასთან დაკავშირებით, ამასთან, ამ უფლებათა, როგორც იმ საქმიანობის განუყოფელი ნაწილის დაცვით, რომელიც მიმართულია კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისაკენ;

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1999 წლის 20 ივლისის მოხსენებას;

2. მოითხოვს მხარეებისაგან, გააფართოონ თავიანთი მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესში, განაგრძონ დიალოგისა და კონტაქტების გაღრმავება ყველა დონეზე და დაუყოვნებლივ გამოიჩინონ აუცილებელი ნება მოლაპარაკების საკვანძო საკითხებზე არსებითი შედეგების მისაღწევად;

3. მტკიცედ უჭერს მხარს რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისა და ეუთოს დახმარებით გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის უწყვეტ ძალისხმევას სიტუაციის სტაბილიზაციისათვის და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით სამშვიდობო პროცესის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებისათვის ახალი იმპულსის მისაცემად, და მადლობას უცხადებს სპეციალურ წარმომადგენელს, ბატონ ლივიუ ბოტას, რომელიც ტოვებს თავის თანამდებობას, მის მიერ თავისი მანდატის განსახორციელებისას დაუღალავი ძალისხმევისათვის;

4. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მზადყოფნა და შესაძლებლობა, გაუწიოს მხარეებს დახმარება, დამოკიდებულია მათსავე პოლიტიკურ ნებაზე, დიალოგისა და ურთიერთდათმობების საფუძველზე მოაგვარონ კონფლიქტი და რამდენად კეთილსინდისიერი იქნება მათი მოქმედებები კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიმართულებით კონკრეტული ზომების უსწრაფესი მიღების მიზნით;

5. ხაზს უსვამს მხარეთა მიერ უსწრაფესი და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის, მათ შორის, საქართველოს მსოფლიოში აღიარებული საზღვრების ფარგლებში, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის მოგვარების აუცილებლობას, და მხარს უჭერს გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის განზრახვას, რუსეთის ფედერაციასთან, როგორც ხელშემწყობ მხარესთან, აგრეთვე ეუთოსა და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით მხარეებს, როგორც ყოვლისმომცველი მოწესრიგების ნა-

წილი, კვლავ წარუდგინონ განსახილველად თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის წინადადება;

6. მიუღებლად და უკანონოდ მიიჩნევს აფხაზეთში, საქართველო, ე.წ. არჩევნების ჩატარებას.

7. კვლავ გამოხატავს შეშფოთებას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობით, კერძოდ, იმათ გამო, ვინც ასეთად იქცა 1998 წლის მაისის საბრძოლო მოქმედებათა შედეგად, ისევ ადასტურებს, რომ მიუღებელია კონფლიქტის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები და რომ ყველა ლტოლვილსა და ადგილნაცვალ პირს, რომელსაც შეეხო კონფლიქტი, აქვს განუყოფელი უფლება, დაუბრუნდეს მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოების პირობებში, საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი, 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმების (S/1994/397, დანართი II) დებულებების შესაბამისად, და მოუწოდებს მხარეებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ ამ პრობლემის მოგვარება შეთანხმებული, ეფექტიანი ზომების მიღების მეშვეობით, იმ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც ახორციელებენ თავის უპირობო უფლებას დაბრუნებაზე;

8. ამასთან დაკავშირებით მიესალმება გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა გალის რაიონში უსაფრთხო დაბრუნების, როგორც პირველი ნაბიჯის ხელშესაწყობად, და ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ლტოლვილთა გრძელვადიანი დაბრუნების უზრუნველყოფა შეუძლებელია მხარეთა შორის ორმხრივ დიალოგში იმ კონკრეტული შედეგების მიღწევის გარეშე, რომლებიც ქმნის უსაფრთხოებისა და აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს;

9. კმაყოფილებით აღნიშნავს და ცნობად იღებს 1998 წლის 16-18 ოქტომბრის და 1999 წლის 7-9 ივნისის იმ შეხვედრებზე მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებიც მოაწყვეს თავიანთ ქვეყნებში საბერძნეთმა და თურქეთმა და რომლებიც მიმართულია ნდობის განმტკიცების, უსაფრთხოების ამაღლებისა და თანამშრომლობის განვითარებისაკენ, და მოუწოდებს მხარეებს, გააქტიურონ ძალისხმევა ამ გადაწყვეტილებათა ეფექტიანი და ყოვლისმომცველი შესრულებისათვის, კერძოდ, მომავალ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება იალტაში უკრაინის მთავრობის მიწვევით;

10. ორივე მხარისაგან მოითხოვს, მკაცრად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება (S/1994/583, დანართი I), და ამასთან დაკავშირებით, არსებული ინფორმაციის თანახმად, კმაყოფილებით აღნიშნავს მნიშვნელოვან პროგრესს შეთანხმების დარღვევის გამოძიების ერთობლივი მექანიზმის შექმნის მიმართულებით, აგრეთვე დიდ თავშეკავებას, რომელსაც მხარეები იჩენენ დაშორიშორების ხაზის გასწვრივ.

11. გმობს შეიარაღებული ჯგუფების უწყვეტ მოქმედებებს, რაც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობას, აბრკოლებს ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობას და არსებითად ანელებს გალის რაიონში სიტუაციის ნორმალიზების პროცესს, კვლავ გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის უსაფრთხოების პრობლემის გამო, კმაყოფილებით აღნიშნავს ამ სფეროში გატარებული ზომების შესახებ და სთხოვს გენერალურ მდივანს, მუდმივად ყურადღების ცენტრში ჰქონდეს მისიის უსაფრთხოების საკითხი;

12. ადგენს, გაუგრძელდეს მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას შემდგომი პერიოდით, რომელიც მთავრდება 2000 წლის 31 იანვარს, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის განხილვას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში;

13. სთხოვს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღებიდან სამი თვის შემდეგ წარუდგინოს მას მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის შესახებ;

14. აღნიშნავს თავის განზრახვას, დეტალურად მიმოიხილოს ოპერაცია მისი მიმდინარე სამანდატო პერიოდის ბოლოს, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით მხარეთა მიერ გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით;

15. ადგენს, აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)